წერილის ნომერი: **18-01240303472**
თარიღი: **30/01/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-0124015171
წერილის თარიღი:	15 იანვარი, 2024
განმცხადებელი:	ვაჟა აფრიამაშვილი
განაცხადის N	AR1997238
მისამართი	ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ბოტანიკურის ქუჩა N5-ის მიმდებარედ, ბოტანიკურის ქ. N7-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.18.03.064.071
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	სასტუმრო; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	**შეთანხმებული პროექტის ცვლილება / მშენებლობის ნებართვა**
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	ბრძანება № 4658508 თარიღი: 09 სექტემბერი, 2019
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ბოტანიკ ინნ“ (ს/ნ: 404593686)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

სამსახურის პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე, 96-ე, 97-ე მუხლები; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3

პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, 1-ლი, მე-2, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, ***38-ე,*** 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია, 2017 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება ,,ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გარემო პირობების სწრაფი ცვალებადობის გამო აუცილებელია გადამოწმდეს და გაკეთდეს ახალი საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის ნაკვეთზე არსებული თითოეული მწვანე ნარგავის შესახებ, მათ შორის - ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მწვანე ნარგავების გადარგვისა და მათი გახარების შესაძლებლობის თაობაზე. საექსპერტო დასკვნას თან უნდა ახლდეს ნუმერაციის მიხედვით ხ(ეებ)ის სრულად ამსახველი **(ფერადი) ფოტომასალა (A-4 ფორმატში, ფოტოზე უნდა ჩანდეს მთლიანი ღერო და ვარჯი).**

ასევე, საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მომზადებული მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტის სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგები, ა.შ), მწვანე ნარგავები საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის მიხედვით და საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილები.

განმცხადებელმა წერილობით უნდა დააზუსტოს დამატებით გადასარგავი ან მოსაჭრელი მწვანე ნარგავ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.

კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალური ფართობი არის 42.25 კვ.მ. გამწვანების საინფორმაციო დაფის ესკიზზე მითითებულის შესაბამისად უნდა გასწორდეს გამწვანების ფართობის მაჩვენებელი. ასევე უნდა შესწორდეს გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი. ბანერზე საპროექტო ტერიტორიის იურიდიული მისამართი გასასწორებელია საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ, სამსახური დააფიქსირებს საბოლოო პოზიციას.

დანართი: 3 გვერდი (სამსახურის წერილობითი ნებართვა);

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01212073283**
თარიღი: **26/07/2021**
პინი: **1835**

ადრესატი: კახაბერ სახვაძე
პირადი ნომერი: 01021011547
მისამართი: ქ.თბილისი, დავით ყიფიანის ქ23, ბ22

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 19/01211832088-18
წერილის თარიღი:	02 ივლისი, 2021
განმცხადებელი:	კახაბერ სახვაძე
განაცხადის N	AR1706683
მისამართი	ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა N17, N5, N7 მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.18.03.064.071
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	სასტუმრო; III კლასი
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ბოტანიკ ინნ“
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	საბოლოო ნებართვის გაცემა მწვანე ნარგავების გადარგვასთან დაკავშირებით
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება	№4811244 თარიღი: 31 დეკემბერი, 2019
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი	№18-01200223322 თარიღი: 22 იანვარი, 2020
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მშენებლობის ნებართვა მინდობილობა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე მწვანე ნარგავების გადარგვის საბოლოო ნებართვა

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს

ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლები; დადგენილების 26^1-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და მწვანე ნარგავების შენარჩუნების გზით დაცული იქნება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, აგრეთვე, მცენარეების გადარგვის და მათი შემდგომი გახარების შესაძლებლობა ექსპერტის მიერ წერილობით დადასტურებულია, **შესაბამისად, სამსახური თანახმაა,** სამშენებლო სამუშაოების გახორციელების მიზნით გასცეს საპროექტო შენობის არეალში მდგომი 1 ძირი აილანთუსის (#1-9,2სმ) და 5 ძირი აკაციის (#2-11,5სმ; #3-15,3სმ; #4-15,6სმ; #5-9სმ; #6-31,5სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა.

ინფორმაციული

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

გაცნობებთ, რომ ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/